UNIQUE STAY HOTELS LTD

ქ. თბილისი, ქ. წამებაულის გამგ/ ბოჭორმის ქ № 50/18

ს/კ 406092650

21.01.2015წ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ქ–ნ ნინო ღოღობერიძეს

შ.პ.ს. „Unique Stay Hotels“-ის დირექტორის კახაბერ ჟორჟოლიანის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ჩვენი კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობის მიმდებარედ ამჟამად შ.პ.ს. „ეფორი“ –ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ამოღებულია უკანონო და უნებართვო ქვაბული, რომელიც უკვე რამდენიმე წელი მიტოვებულია და რამაც გამოიწვია ჩვენი შენობის დაზიანება. აღნიშნულზე ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა შ.პ.ს. „ეფორი“ 8 000 ლარით დააჯარიმა კიდეც და მოსთხოვა მას ქვაბულის ამოვსება და მიწის ნაკვეთის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. ახლახანს ასევე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შ.პ.ს. „ეფორი“ აპირებს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი შენობის აშენებას და ამ მიზნით არქიტექტურის სამსახურში შემოტანილი აქვს პროექტი დასამტკიცებლად. მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი შენობის დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე დაუშვებელია მის მახლობლად აღნიშნული პარამეტრების შენობის აშენება, რადგან ჩვენი შენობა უკვე ისედაც გადახრილია 14 სანტიმეტრით ქემალ გაზიოღლუს მიერ 2006 წელს უკანონოდ და უნებართვოდ ამოღებული ქვაბულის მხარეს და ახალი მასიური შენობის აშენება გამოიწვევს მასზე კატასტროფულ ზემოქმედებას. აქვე წარმოგიდგენთ 2013 წელს დამტკიცებულ ჩვენი შენობის გამაგრების პროექტს და ხარჯთაღრიცხვას, რაც 512 899,29 ლარს შეადგენს. ჩვენი შენობის აღნიშნული მეთოდით გამაგრებამდე ჩვენს მომიჯნავე ნაკვეთზე არათუ მშენებლობა, არამედ ნებისმიერი ბურღვითი სამუშაოების წარმოებაც ყოვლად დაუშვებელია. თავად გამაგრების პროექტის ალბომს საჭიროების შემთხვევაში მოგვიანებით დამატებით წარმოგიდგენთ.

მინდა აქვე მოგახსენოთ, რომ ჩვენ ჩვენს კუთვნილ შენობაში მოვახდინეთ სასტუმრო „ლონდონ პალასის“ გახსნა, რომელიც 16 იანვარს დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში და თბილისის ვიცე–მერმა ერთობლივად გახსნეს. ჩვენს შენობაშია ასევე განთავსებული „თბილისი–ბრისტოლის ასოციაციის“ ოფისი, რომელიც ჩვენმა კომპანიამ უსასყიდლოდ გადასცა აღნიშნულ ორგანიაზაციას.

პატივისცემით

კახა ჟორჟოლიანი

75

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....

..... 5003207413 ..... 201 წ.

12.08.2013

5003207413

Unique Stay Hotels-ს დირექტორს ბნ კახაბერ ჟორჟოლიანს

(თბილისი ქ.წამებულის გამზ./ზოჰორმის 50/18)

ბატონო კახაბერ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2013 წლის 6 აგვისტოს მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1004287613) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N003537313 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 09 ფურცლად;

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი
ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, ზესხის ქ. №5

76

003537313

ექსპერტის დასკვნა № 003537313

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: Unique Stay Hotels

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი ქ.წამებულის გამზ./ზოჭორმის 50/18

სახელი და გვარი: კახაბერ ჟორჟოლიანი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

პაპუნა მენაბდიშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 31 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ შენობის ვიზუალური დათვალიერება და მოგვცეთ დასკვნა არსებული მდგომარეობის და შენობის გამაგრებისათვის საჭირო სამუშაოების შესახებ.

შემოსვლის თარიღი: 06.08.2013წ

გასვლის თარიღი: 12.08.2013წ

დასკვნა

ვიზუალური დათვალიერებით ქ. თბილისში ქ. წამებულის/ზოჭორმის 50/18-ში მდებარე შენობის სარდაფის სართულზე შეინიშნება იატაკის დახრა ქვაბულის მხარს. გაჩენილია ბზარი კერამოგრანიტის ფილების შეერთების ადგილებზე. დამკვეთის განცხადებით ფასადის მხრიდან მარცხენა მხარეს, ვიტრაჟის მინებში პერიოდულად ჩნდება ბზარები და ამონატეხები (დამკვეთის განცხადებით გატეხილი მინები გამოიცვალა შვიდჯერ) მინები ამჟამადაც დაბზარულია, რაც დეფორმაციის დინამიური პროცესის მიმდინარეობაზე მიუთითებს.

ქ. თბილისში ქ. წამებულის/ზოჭორმის 50/18-ში მდებარე შენობის დაზიანებები გამოწვეულია ფასადის მხრიდან მარცხენა და უკანა მხარეს შენობის მთელ სიგრძეზე ამოთხრილი 3.5მ. სიღრმის ქვაბულის არსებობით. ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით პერიოდულად ხდება შენობის საძირკვლის ფუძის დასველება, რის გამოც მცირდება მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, რაც თავის მხრივ იწვევს საძირკვლების არათანაბარ ჯდენას.

ქ. თბილისში ქ. წამებულის/ზოჭორმის 50/18-ში მდებარე შენობის შემდგომი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის აუცილებელია დაუყოვნებლივ ჩატარდეს შენობის ტექნიკური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევა. პროექტირების საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შენობის გამაგრების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ხოლო მრავალსართულიანი შენობის აშენების შემთხვევაში, ურთიერთგავლენის ამოცანის გადაწყვეტა და მიღებული შედეგების საფუძველზე, ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული გაძლიერების პროექტის მიხედვით შენობის გამაგრება.

24

47

003537313

ექსპერტის დასკვნა № 003537313

პაპუნა მენაბდიშვილი

გამოკვლევა

ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში ქ. წამებულის/ზოჭორმის 50/18-ში. შენობა ხუთსართულიანია, სარდაფით, განთავსებულია სწორ რელიეფზე, გეგმაში აქვს სწორკუთხედის ფორმა გაბარიტული ზომებით 16.6×12მ. კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა კარკასულია. საძირკვლები სავარაუდოდ ლენტურია. გადახურვა ბრტყელია. ფასადის მხარეს განთავსებულია მინის ვიტრაჟები (იხ. სურ. 1).

დაახლოებით ხუთი წლის წინ ფასადის მხრიდან მარცხენა და უკანა მხარეს შენობის მთელ სიგრძეზე ამოთხარეს დაახლოებით 3.5მ. სიღრმის ქვაბული, რომელიც დამკვეთის განცხადებით ძლიერი ატმოსფერული ნალექების დროს მთლიანად იტბორება (იხ. სურ. 2, 3).

ვიზუალური დათვალიერებით სარდაფის სართულზე შეინიშნება იატაკის დახრა ქვაბულის მხარს. გაჩენილია ბზარი კერამოგრანიტის ფილების შეერთების ადგილებზე (იხ. სურ. 4, 5). დამკვეთის განცხადებით ფასადის მხრიდან მარცხენა მხარეს ვიტრაჟის მინებში პერიოდულად ჩნდება ბზარები და ამონატეხები (დამკვეთის განცხადებით გატეხილი მინები გამოიცვალა შვიდჯერ) მინები ამჟამადაც დაბზარულია, რაც დეფორმაციის დინამიური პროცესის მიმდინარეობაზე მიუთითებს (იხ. სურ. 6, 7).

ქ. თბილისში ქ. წამებულის/ზოჭორმის 50/18-ში მდებარე შენობის დაზიანებები გამოწვეულია ფასადის მხრიდან მარცხენა და უკანა მხარეს შენობის მთელ სიგრძეზე ამოთხრილი 3.5მ. სიღრმის ქვაბულის არსებობით. ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით პერიოდულად ხდება შენობის საძირკვლის ფუძის დასველება, რის გამოც მცირდება მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, რაც თავის მხრივ იწვევს საძირკვლების არათანაბარ ჯდენას.

ქ. თბილისში ქ. წამებულის/ზოჭორმის 50/18-ში მდებარე შენობის შემდგომი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის აუცილებელია დაუყოვნებლივ ჩატარდეს შენობის ტექნიკური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევა. პროექტირების საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შენობის გამაგრების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ხოლო მრავალსართულიანი შენობის აშენების შემთხვევაში, ურთიერთგავლენის ამოცანის გადაწყვეტა და მიღებული შედეგების საფუძველზე, ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული გაძლიერების პროექტის მიხედვით შენობის გამაგრება.

პაპუნა მენაბდიშვილი

გამოყენებული მასალები

განცხადება.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

004532713

ექსპერტის დასკვნა № 004532713

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამკვეთი :

ორგანიზაცია: შპს Unique Stay Hotels

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 6 ბ. 6

სახელი და გვარი: კახაბერ ჟორჟოლიანი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

გურიელ წურწუმია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 57 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის 50/18, შპს ,,უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილის და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა.

შემოსვლის თარიღი: 04.09.2013წ

გასვლის თარიღი: 08.10.2013წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის 50/18 შპს ,,უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების ხარჯთაღრიცხვას თანხით 512410, 38 ლარი ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად (იხ. დანართი 8 ფურცლად), ნაცვლად 521899,29 ლარისა.

გურიელ წურწუმია

გამოკვლევა

ექსპერტის მიერ გამოკვლეულ იქნა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა.

მასზე ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი ხელმძღვანელობდა მშენებლობის შემფასებელთა მიერ 2011 წელს გამოცემული დოკუმენტაციით ,,მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ".

ექსპერტი ასევე ცარგებლობდა ზემოთ ხსენებული მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ 2013 წელს გამოცემულ ,,სამშენებლო რესურსების ფასები"-თ 2013 წლის III კვარტლის დონეზე.

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საბაზისო მონაცემების გადამოწმებისას ექსპერტი ხელმძღვანელობდა სამშენებლო ნორმებისა და წესების ს.ნ. და წ. IV-2-82*-ს I, II, III, IV, V, VIII და სხვა ნორმატიული მასალებით. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია რესურსული

მეთოდით. ექსპერტის მიერ წარმოდგენილია დანართი 8 ფურცლად, რომლის მიხედვით, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის 50/18 შპს „უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების ხარჯთაღიცხვას თანხით 512410, 38 ლარი ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად (იხ. დანართი 8 ფურცლად), ნაცვლად 521899,29 ლარისა, სადაც მასალების ღირებულება შეიძლება გაკორექტირებულ იქნას მასალების შეძენის ფაქტიური ფასებით ინვოისებისა და სასაქონლო ზედდებულების საფუძველზე. შრომითი დანახარჯები ძირითადად აღებულია საბაზრო ფასებით, რომლებიც მშენებლობის პერიოდისათვის შეიძლება დაზუსტებულ იქნას მუშებთან დადებული ხელშეკრულებით, დამკვეთთან შეთანხმებული ფასებით.

მექანიზმების მომსახურების ღირებულებები შეიძლება გაკორექტირებულ იქნას ფაქტიურად გამოყენებულ მექანიზმების ტიპებისა და მარკის შესაბამისად.

გურიელ წურწუმია

გამოყენებული მასალები

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის 50/18 შპს „უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების ხარჯთაღიცხვა

გამოყენებული (ლიტერატურა, სტანდარტები, რეგლამენტები. ...)

მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ 2013 წელს გამოცემული „სამშენებლო რესურსების ფასები" 2013 წლის II კვარტლის დობეზე;

მშენებლობის შემფასებელთა მიერ 2011 წელს გამოცემული დოკუმენტი „მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ";

სამშენებლო ნორმებისა და წესების ს.ნ. და წ. IV-2-82" I, II, III, IV, V, VII ტომები.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი.

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

004531713

ექსპერტის დასკვნა № 004531713

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს Unique Stay Hotels

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 6 ბ. 6

სახელი და გვარი: კახაბერ ქორქოლიანი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

გენრიხ ბერიძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 43 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის 50/18, შპს -ს საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების პროეტრის კონსტრუქციული ნაწილის და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა.

შემოსვლის თარიღი: 04.09.2013წ

გასვლის თარიღი: 08.10.2013წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის 50/18 შპს „უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე. ქვემოდ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით პროექტი მისაღებია მშენებლობისათვის.

გენრიხ ბერიძე

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის 50/18 შპს „უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

პროექტი ითვალისწინებს არსებული შენობის საძირკვლების გაძლიერებას. განმარტებითი ბარათის მიხედვით შენობის დეფორმაციების მიზეზად მიჩნეულია გვერდზე გათხრილი ქვაბული, რომლის ჩაღრმავება აღემატება არსებული შენობის საძირკვლის ძირის ნიშნულს. საძირკვლის გასაძლიერებლად მიღებულია 135 მმ დიამეტრის მქონე ინექციური ხიმინჯები.

004531713

პროექტის მიმართ გაგვაჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. ფურცელი კ-4, კ-5, კვანძი A, B, პოზიცია 8, შველერებს შიგა მხრიდან დაემატოს ორ-ორი სიხისტის წიგნი, სისქით 8 მმ.

2. ფურცელი კ-4, კ-5, ,,ა" და ,,გ" ღერძის გასწვრივ მოწყობილი ხიმინჯები უნდა მიიწიოს არსებული საძირკვლისკენ.

3. ფურცელი კ-4, ,,ა" და ,,2-:-3" ღერძების გადაკვეთაზე დაემატოს ლითონის კოჭებით გამაგრება კვანძი A და B პრინციპით.

4. შედუღებაზე უნდა იყოს აღნიშნული ელექტროდის ტიპი და ნაკერის სისქე.

5. აღწერილი უნდა იყოს სამუშაოების წარმოების თანმიმდევრობა, უსაფრთხოების ტექნიკის III-4-80 დაცვით. აგრეთვე მითითებული უნდა იყოს, რომ სამუშაოები განხორციელდეს სამუშაოთა წარმოების პროექტის დაცვით.

6. მთითებული უნდა იყოს, რომ ბურღვითი სამუშაოების დაწყებამდე შესრულდეს მინიმუმ ორი ხიმინჯის გამოცდა.

ამრიგად, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის 50/18 შპს ,,უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე. ზემოდ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით პროექტი მისაღებია მშენებლობისათვის.

გენრიხ ბერიძე

გამოყენებული მასალები

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის 50/18 შპს ,,უნიქ სთეი ჰოტელს"-ის საოფისე შენობის საძირკვლის გაძლიერების პროექტი

გამოყენებული (ლიტერატურა, სტანდარტები, რეგლამენტები...)

სნ და წ 2.03.01-84* - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები

პნ 01.01-09 - სეისმომედგეი მშენებლობა.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია